103-04-2-201701091712

N 04/103
09/01/2017

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის სამინისტროს

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში შემოსულ თქვენს 2016 წლის 27 დეკემბრის №01/93566 წერილთან დაკავშირებით, გაცნობებთ შემდეგს:

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოხსენებულ წერილში მოყვანილი გარემოებების შესაბამისად, მაღალმთიან რეგიონში მუდმივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი იმ ოჯახების მიმართ რომელთა სარეიტინგო ქულა საანგარიშო თვის წინა თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით, ტოლია ან არ აღემატება 70 000 ერთეულს, გამოცემულია მოხმარებული ელექტროენერგიის ნაწილობრივ სუბსიდირებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის ორი სხვადასხვა შინაარსის, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სამართლებრივი აქტი და ორივე მათგანი შეიცავს ზემოაღნიშნული კატეგორიის მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის სუბსიდირების მიზნით დავალებითი ხასიათის მითითებებს, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიაჩნია, რომ მანამ, სანამ არ განხორციელდება რომელიმე ზემოხსენებული სამართლებრივი აქტის ცვლილება ან გაუქმება უნდა განხორციელდეს ორივე მათგანის შესრულება. რაც შეეხება აღნიშნულის განხორციელების მიზანშეწონილობის საკითხს, მიგვაჩნია, რომ ამის თაობაზე უნდა იმსჯელოს საქართველოს მთავრობამ.

რაც შეეხება ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტების ერთდროულად მოქმედების შემთხვევაში მათი შესრულების თანმიმდევრობას, ვინაიდან „აბონენტების მიერ მაღალთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 25 აგვისტოს №418 დადგენილება გამოცემულია კანონის საფუძველზე და მის შესასრულებლად და ითვალისწინებს ელექტროენერგიის ანაზღაურებას ნორმატიული აქტით მისადაგებული სამომხმარებლო ტარიფით გაანგარიშებული ღირებულების მიხედვით და არა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №381 დადგენილების შესაბამისად სუბსიდირების ტარიფით გაანგარიშებული ღირებულების მიხედვით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია უპირველესად განხორციელდეს ზემოხსენებული №418 დადგენილების, ხოლო შემდგომ №381 დადგენილების შესრულება.

პატივისცემით,
ირაკლი ხმალაძე

მინისტრის მოადგილე

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო